



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ქართულ-ამერიკული
უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების
შესახებ



ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: სალომე ვორონოვი, თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

საქართველო

თბილისი
2022

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახე	უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	206169304
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	მერაბ ალექსიძის N10, ქ. თბილისი, 0160, საქართველო
ვებ-გვერდი	www.gau.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	24.06.2021
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	N689589, 08.07.2022
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	24.06.2027

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები¹

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	19
ბაკალავრიატი	10
მაგისტრატურა	5
ერთსაფეხურიანი	1
დოქტორანტურა	3
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-
ქართულ ენაში მომზადების	-
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	19
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	-
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა ²	1
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	55

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა 2500			
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	2020	609	990
ბაკალავრიატი	1025	352	681
მაგისტრატურა	118	151	301
ერთსაფეხურიანი	830	51	-
დოქტორანტურა	47	55	8
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-	-	-

¹ იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

² იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის 3⁴⁸ პუნქტში

ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	-	-	-
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	781	73	22
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	125	-	-

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	526
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	139
- პროფესორი	38
- ასოცირებული პროფესორი	71
- ასისტენტ პროფესორი	7
- ასისტენტი	23
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	-
- მეცნიერი	16
- პოსტდოქტორანტი	-
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	101
- აფილირებული პროფესორი	27
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	54
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	2
- აფილირებული ასისტენტი	18
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	7
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	1
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	302
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	94

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	7,515.58 კვ.მ.
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	2,695.53 კვ.მ.
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	4,820.05 კვ.მ (აქედან 1748,82 კვ.მ. სხვენი)

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

განხორციელდა ავტორიზაციის პროცესში დაწესებულებისთვის მიცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება დაწესებულების მირ წარმოდგენილი ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე, ქვემოთ მოცემულ სტანდარტებთან და კომპონენტებთან მიმართებაში:

სტანდარტი 3. საგანმანათლებლო პროგრამები
კომპონენტი 3.1. - საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება;
კომპონენტი 3.2. - საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი;
კომპონენტი 3.3. - სწავლის შედეგების შეფასება;

სტანდარტი 5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები
კომპონენტი 5.1. - სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები;
კომპონენტი 5.2 - სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები;

სტანდარტი 6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა
კომპონენტი 6.2. - კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია;
კომპონენტი 6.3. - კვლევითი საქმიანობის შეფასება;

სტანდარტი 7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები
კომპონენტი 7.2. - საბიბლიოთეკო რესურსები

მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
 შეფასების განხორციელების თარიღი: 27, 28 და 29 აპრილი 2021

სტუდენტთა კონტინენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
 შეფასების განხორციელების თარიღი: _____

საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება
 შეფასების განხორციელების თარიღი: _____

შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში
 შეფასების განხორციელების თარიღი: _____

უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:
3. საგანმანათლებლო პროგრამები	
3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	
მედიცინის სკოლას უნდა ჰქონდეს მკაფიო პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს განათლებას და კვლევას შორის ურთიერთკავშირს. აუცილებელია	რეკომენდაცია გათვალისწინებულია. უნივერსიტეტის კვლევითი სტრატეგიის პარალელურად, მედიცინის სკოლაში შემუშავდა 2021-2027 წლების სამეცნიერო-

<p>სამეცნიერო / კვლევითი სტრატეგია, რომელიც კონკრეტულად მედიცინის სკოლის განვითარების გეგმებს ეხება. უფრო კონკრეტულად, სტრატეგიაში დასახულ უნდა იქნეს გეგმები (მაგ.:კვლევების მხარდაჭერა/დაფინანსება, განსაკუთრებით, ახალგაზრდა კლინიკოსებისა და მკვლევარების მიერ განხორციელებული კვლევებისა; არჩეული სამედიცინო პროექტისთვის ფონდის დაგეგმვა; კლინიკური კვლევის წახალისება; გრანტები, სახსრები (ეროვნული, საერთაშორისო) სამეცნიერო/კლინიკური ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის; საკუთარი სახსრების გამოყოფა საუკეთესო ხარისხის კრიტერიუმების გათვალისწინებით; გეგმები/აქცენტები კლინიკური და დისციპლინათაშორისო სამეცნიერო კვლევების გაძლიერებაზე, რომელთა სპეციფიკაც (მაგალითად, "საბაზისო მეცნიერება" ან "კლინიკური კვლევები"), სამომავლოდ იქნება გათვალისწინებული; რა პრიორიტეტულ მიმართულებებში და სფეროებში (მაგალითად, "ეპიდემიოლოგია" ან "სოციალური მეცნიერებები" და ა.შ.) წარმოიდგინენ მათ განვითარებას;</p>	<p>კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია, რომელშიც გათვალისწინებული იქნა უნივერსიტეტის მედიცინის სკოლაში სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განვითარების გეგმა და კონკრეტული მიმართულებები დაწესებულების/სკოლის მატერიალური, ფინანსური რესურსის და კადრის პოტენციალის გათვალისწინებით.</p>
<p>უნდა დაინერგოს კონკურენტული კვლევითი საქმიანობისა და კვლევის მიღწევების აღიარების სქემები. ამ კუთხით, საჭიროა ხარისხობრივი აღწერილობის გამოყენება რაოდენობრივ პარამეტრებთან, მეცნიერომეტრიის ინდიკატორებთან ერთად (მაგ. პირველი ან ბოლო ავტორი Q1 ან Q2 პერიოდულ გამოცემებში, სამეცნიერო ნაშრომების თანაავტორობა სტუდენტებთან, ზედამხედველობის ქვეშ მყოფი დოქტორანტების რაოდენობა და ა.შ.);</p>	<p>რეკომენდაცია გათვალისწინებულია. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საკმაოდ დეტალური დოკუმენტი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის სამუშაო აღწერილობასა და მათი შეფასების წესთან დაკავშირებით. საანგარიშო პერიოდში დაწესებულებამ კიდევ უფრო გააუმჯობესა ამ დოკუმენტში მოცემული აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების კრიტერიუმები, ხარისხობრივი/რაოდენობრივი პარამეტრები და მეცნიერომეტრიის ინდიკატორები. (დაწვრილებით იხილეთ შესაბამის სტანდარტის შეფასებებში)</p>
<p>3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</p>	
<p>კლინიკურ საგნებში შემუშავდეს მენტორობის გაცილებით ეფექტური მექანიზმი, როგორცაა რეგულარული შეხვედრები, დისკუსიები სტუდენტებსა და კლინიკურ მენტორებს შორის კლინიკური სწავლების მეთოდის ეფექტურობის გასაანალიზებლად;</p>	<p>რეკომენდაცია გათვალისწინებულია. დაწესებულებამ მედიცინის სკოლისათვის შეიმუშავა „კლინიკური სწავლის მართვის პოლიტიკა“. აღნიშნული პოლიტიკის მესამე მუხლი განსაზღვრავს მენტორის ფუნქციებს.</p>

<p>უფრო მკაფიოდ უნდა განისაზღვროს კლინიკური მენტორის/ზედამხედველის კანდიდატურის დასახელებისა და კვალიფიკაციის წესები (კატეგორიების მინიმალური აკადემიური კვალიფიკაცია), ხოლო კლინიკური პერსონალის წევრებისათვის საჭიროა პერსონალური განვითარების გეგმები შეთანხმებული საერთო საფუძვლის მისაღწევად;</p>	<p>რეკომენდაცია გათვალისწინებულია. დაწესებულებამ „აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის სამუშაო აღწერილობა და მათი შეფასების წესში“ შეიტანა ცვლილებები, კერძოდ წესს დაემატა მე-10 მუხლი - დამატებითი მოთხოვნები მედიცინის სფეროში. აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს მედიცინის სფეროს სპეციფიკას.</p>
<p>3.3 სწავლის შედეგების შეფასება</p>	
<p>პრეკლინიკური სიმულაციური სწავლება კარგი პრაქტიკის სტანდარტებით მიმდინარეობს, მაგრამ უნდა გაიზარდოს კლინიკური სწავლების ფარდობითი წონა და კლინიკურ საგნებში უზრუნველყოფილ იქნეს პირდაპირი წვდომა რეალურ კლინიკურ შემთხვევებზე, ასევე, საჭიროა განისაზღვროს პაციენტის საწოლთან პრაქტიკული სწავლებისთვის გამოყოფილი დრო. პროცედურული უნარები (ინექციები, ნაკერების დადება, გადახვევა, BLS) უნდა შეფასდეს სტანდარტული სიხშირით: კომპეტენცია და გადამზადების საჭიროება უნდა გადაფასდეს შესაბამისი დროის ინტერვალებით;</p>	<p>რეკომენდაცია გათვალისწინებულია. რეკომენდაცია გათვალისწინებულია. საანგარიშო პერიოდში დაწესებულებამ კლინიკური სწავლების შესაბამისი ფარდობითი წონის და რეალურ კლინიკურ შემთხვევებზე სტუდენტთა პირდაპირი წვდომის უზრუნველყოფის დადასტურების მიზნით, შეიმუშავა „კლინიკური სწავლების მართვის პოლიტიკა“, სადაც მკაფიოდ და დეტალურად იქნა გაწერილი კლინიკური სასწავლო კურსების სწავლა/სწავლებისა და შეფასების სისტემა, ასევე დაკონკრეტდა შესაბამისი აქტივობაზე სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობის ზღვარი.</p>
<p>სამედიცინო ეთიკა, პაციენტის კონფიდენციალურობისა და ავტონომიის ჩათვლით, სასწავლო პროგრამის თეორიულ ნაწილში შედის, მაგრამ იგი ყოველთვის უნდა განმტკიცდეს პრაქტიკაში როლური მოდელირებით კლინიკური სწავლების დროს. აღნიშნული შეუძლებელი იქნება ქართული ენის ჯეროვნად გამოყენების გარეშე, ამიტომაც მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ქართულ ენაზე კომუნიკაციის უნარს კლინიკურ საგნებში - საჭიროა კომუნიკაცია პაციენტთა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფთან და მათ ნათესავებთან, აგრეთვე კულტურული, ეთნიკური თუ რელიგიური საკითხების გათვალისწინება. პაციენტის მოვლაში მონაწილეობა უნდა მოიცავდეს ურთიერთობის (ოჯახის ექიმებთან) და სხვა სამედიცინო პროფესიების წარმომადგენლებთან გუნდური მუშაობის შესაბამის გამოცდილებას;</p>	<p>რეკომენდაცია გათვალისწინებულია. დაწესებულების დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაში ექვსი სემესტრის განმავლობაში - 12 კრედიტად არის გათვალისწინებული ქართული ენის სწავლება.</p>
<p>ამგვარად, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ადეკვატურად უნდა</p>	<p>რეკომენდაცია გათვალისწინებულია. უნივერსიტეტის დიპლომირებული</p>

<p>განსაზღვროს სწავლის საბოლოო კონკრეტული შედეგები კომუნიკაციური ცოდნის, უნარებისა და შესაბამისი დამოკიდებულებისა თუ ქცევის კუთხით. ამ ჩარჩოს დამტკიცებით სტუდენტს ექნება ინფორმაცია, თუ რას ელიან მისგან - აუცილებელია კომუნიკაციის უნარების იმ კომპლექტის განსაზღვრა, რომელიც სტუდენტებმა უნდა აითვისონ წინასწარ განსაზღვრულ ვადებში და სასწავლო პროგრამის ბოლოს;</p>	<p>მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლთან სრულ შესაბამისობაში.</p>
<p>მომდევნო წლების განმავლობაში LO-ის შეფასება უნდა იყოს უწყვეტი; უმაღლესმა სასწავლებელმა უნდა შეიმუშავოს გეგმა, სადაც მითითებულია, თუ როგორ იქნება გამოყენებული „მედიცინის“ პროგრამის LO შეფასების შედეგები პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რაც ნიშნავს, რომ საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსი და LO ან შეფასების სისტემა შეიცვლება;</p>	<p>რეკომენდაცია გათვალისწინებულია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუქა, სადაც დეტალურად არის გაწერილი, რომელი შედეგის (კომპეტენციის) შეფასება რომელი სასწავლო კურსით, რომელ სემესტრში და რა მეთოდით ხორციელდება. ასევე „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“, და „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“.</p>
<p>სტუდენტთა / ლექტორთა ამჟამინდელი თანაფარდობა მისაღება, მაგრამ მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის ზრდას უნდა მოჰყვეს კლინიკური პერსონალის რაოდენობის ზრდა; უნდა გაიზარდოს იმ პირთა რიცხვი, ვინც მონაწილეობს კლინიკურ კურსებსა და პაციენტის საწოლთან სწავლების პროცესში; ასევე, აუცილებელია უფროს პედაგოგთა (პროფესორები - შესაბამისი ხელშეკრულებით) რაოდენობის გაზრდა. აღნიშნული ზრდა უნდა მოხდეს მაქსიმალური დატვირთვის წესების, წლის მანძილზე სტუდენტთა დაგეგმილი რაოდენობისა და ჯგუფებში სტუდენტების რიცხოვნების გათვალისწინებით. პრეკლინიკური პრაქტიკის დროს ჯგუფების ზომა მისაღება, მაგრამ კლინიკურ საგნებში ეს რაოდენობა უნდა შეიზღუდოს - ოპტიმალურია 10- ზე ნაკლები;</p>	<p>რეკომენდაცია გათვალისწინებულია. რეკომენდაცია გათვალისწინებულია. სტუდენტთა და ლექტორთა თანაფარდობასთან, ასევე პროგრამის განმახორციელებელი კადრის, მათ შორის კლინიცისტების, ზრდასთან დაკავშირებით უნივერსიტეტმა წარმოადგინა სტატისტიკური ცხრილი. ასევე დაწესებულებამ შეიმუშავა და წარმოადგინა „კლინიკური სწავლების მართვის პოლიტიკა“.</p>
<p>რეკომენდებულია ინდივიდუალური წვდომა რეალურ კლინიკურ სცენარებზე. დაცული უნდა იქნეს სტუდენტ-მასწავლებლის</p>	<p>რეკომენდაცია გათვალისწინებულია. რეალურ კლინიკურ სცენარებზე სტუდენტთა ინდივიდუალურ წვდომას განაპირობებს</p>

<p>მიზანშეწონილი თანაფარდობა სწავლების ყველა ფორმაში (მცირე ჯგუფებში უფრო მეტად პერსონალური სწავლებაა შესაძლებელი და პაციენტებთან კონტაქტის არარსებობამ შეიძლება გამოიწვიოს სტუდენტების დემოტივაცია);</p>	<p>სამედიცინო დაწესებულებებთან უნივერსიტეტის თანამშრომლობის გაფართოება. უნივერსიტეტმა დამატებით წარმოადგინა საანგარიშო პერიოდში სამედიცინო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. ეს ასევე უკვე კარგად ჩანს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ „კლინიკური სწავლების მართვის პოლიტიკაში“.</p>
<p>კლინიკური სწავლება უნდა განხორციელდეს კლინიკური პირობების და როტაციების შეჯერებით ყველა ძირითად საგანში. კლინიკურ სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს გუნდში მუშაობისა და კონფლიქტების მართვის უნარების მტკიცებულება. ამ შემთხვევაში - ისევ და ისევ - უნდა განისაზღვროს პრაქტიკაზე დაფუძნებული ასპექტები, უფრო კონკრეტულად - გარანტირებული უნდა იყოს პირადი წვდომა პაციენტის საწოლთან სწავლების კლინიკურ პრაქტიკაზე;</p>	<p>რეკომენდაცია გათვალისწინებულია. პროგრამაში კლინიკური სწავლების წილის ზრდას დღეს უკვე განაპირობებს, არა მარტო პროგრამა, არამედ იმ სამედიცინო დაწესებულებების რიცხოვნების ზრდის მაჩვენებელიც რომლებთანაც თანამშრომლობს უნივერსიტეტის კლინიკური კომპონენტების განხორციელების მიზნით. ავტორიზაციის მომენტში უნივერსიტეტს დადებული ჰქონდა ხელშეკრულება 23 სამედიცინო დაწესებულებებთან დღეს მათი რიცხი 30-მდე გაიზარდა. დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა ახალ სამედიცინო დაწესებულებებთან დადებული ხელშეკრულების ასლები.</p>
<p>აუცილებელია განისაზღვროს კლინიკური უნარების ერთობლიობა, რომელსაც უნდა ფლობდნენ სტუდენტები სასწავლო პროგრამის ბოლოს. იდეალურ შემთხვევაში, მედიცინის სკოლამ უნდა შეიმუშავოს პრაქტიკული პროცედურები, რომლებსაც სტუდენტი აითვისებს კონკრეტული კლინიკური დისციპლინის და სასწავლო პროგრამის ბოლოს და შეაფასებს მას არა მხოლოდ სიმულაციურ, არამედ რეალურ კლინიკურ კონტექსტშიც. სიმულაცია და სტუდენტების წვდომა სიმულაციურ ტექნოლოგიებზე კარგი პრაქტიკის სტანდარტებით ხორციელდება, მაგრამ სიმულაციის ცენტრში საკონტაქტო საათების რაოდენობა არ უნდა გაიზარდოს. აღნიშნულის მიზანი არ არის მთლიანად დავეყრდნოთ ამ მეთოდს; სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მეტი კლინიკური პრაქტიკა ინდივიდუალურ პაციენტებზე ინდივიდუალური წვდომით - ეს მომდევნო სემესტრებით გათვალისწინებული კურსების ერთგვარი წინასწარი მოთელვა იქნება. იმის გათვალისწინებით, რომ დამამთავრებელი გამოცდების პირველი სერია უახლოეს სემესტრებშია მოსალოდნელი, აღნიშნული</p>	<p>რეკომენდაცია გათვალისწინებულია. სტუდენტთათვის მეტი კლინიკური პრაქტიკის უზრუნველსაყოფად „კლინიკური სწავლების მართვის პოლიტიკაში“ დაწესებულებამ თითოეული მიმართულებით აუცილებელი სასწავლო კლინიკების რაოდენობის განსასაზღვრად დამატებით შეიმუშავა პაციენტი/სტუდენტის თანაფარდობის განსასაზღვრის წესი სასწავლო კურსის/კურსაციის განმავლობაში. ამას განაპირობებს პარტნიორი სამედიცინო დაწესებულების რაოდენობა და სტუდენტთა თანაფარდობაც.</p>

სქემის მისაღებად ეს ნამდვილად სწორი დროა;	
კლინიკურ განათლებაში სწავლების საკვანძო ბაზები (კლინიკური საავადმყოფოები) რეგულარულად უნდა შეფასდეს პრაქტიკულ სასწავლო პროგრამასთან მათი შესატყვისობისა და ხარისხის ასპექტით. მოწვეული პერსონალის შემთხვევაში უნდა განისაზღვროს და გაკონტროლდეს მათი კომპეტენცია კონკრეტულ კურსებთან მიმართებაში;	რეკომენდაცია გათვალისწინებულია. დაწესებულებამ „კლინიკური სწავლების მართვის პოლიტიკაში“ შეიმუშავა კლინიკური ბაზების შერჩევის და შეფასების კრიტერიუმები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა მის მიერ შეფასებული კლინიკების ანგარიშიც.
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	
5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	
სწავლის საფასურის დაფიქსირება ბიზნესის მიმართულების ბაკალავრიატის პროგრამაზე, როგორც ეს გათვალისწინებულია ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის დადგენილ ხელშეკრულებაში;	რეკომენდაცია გათვალისწინებულია. დაწესებულებამ წარმოადგინა ბიზნესის, სამართლისა და მედიცინის სკოლის ხელშეკრულებების ნიმუშები. ამ ხელშეკრულების მესამე პუნქტი არეგულირებს სწავლის გადასახადს. კერძოდ მესამე მუხლი მოიცავს სამ პუნქტს. პირველ პუნქტში მოცემულია სწავლის გადასახადი.
ომბუდსმენის დამოუკიდებლობის გაზრდა - რეკომენდირებულია, ომბუდსმენს არ ეკავოს რაიმე თანამდებობა უნივერსიტეტში და არ იყოს დანიშნული პრეზიდენტის მიერ, არამედ, არჩეულ იქნეს სტუდენტების მონაწილეობით;	რეკომენდაცია გადავიდა რჩევაში უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების და დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ, რადგან არსებული მექანიზმი არ არღვევს სტანდარტს, მაგრამ თავად ფაქტი ომბუდსმენის არსებობისა არის კარგი პრაქტიკა, ამავე ლოგიკიდან გამომდინარე, მისი არჩევის წარმომადგენლობითობის გაზრდა კიდევ უფრო დადებითად იმოქმედებს ინსტიტუციის დამოუკიდებლობის ხარისხზე.
5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	
დოქტორანტებისადმი მხარდაჭერის გაზრდა უნივერსიტეტის დონეზე;	რეკომენდაცია გათვალისწინებულია. დაწესებულებამ წარმოადგინა სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში დამატებით უცხოელთა ჩართვის/მონაწილეობის დამადასტურებელი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.
უნივერსიტეტის ცხოვრებაში საერთაშორისო სტუდენტების ინტეგრაციის ხელშეწყობა და მხარდაჭერა დამატებითი სერვისებით;	რეკომენდაცია გათვალისწინებულია. უცხოელ სტუდენტთა საუნივერსიტეტო სივრცეში ადაპტაციის მიზნით ტარდება სხვადასხვა სახის აქტივობები. წარმოდგენილია ამ აქტივობების ჩამონათვალი და მტკიცებულებები. მედიცინის სკოლაში შეიქმნა ასევე უცხოელ სტუდენტთა ტუტორის მექანიზმი.

<p>სოციალურად დაუცველ სტუდენტთათვის ფინანსური შეღავათების მექანიზმების შემუშავება;</p>	<p>რეკომენდაცია გათვალისწინებულია. დაწესებულებამ შეიმუშავა სოციალურად დაუცველი პირებისათვის ფინანსური შეღავათების მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს ქართულ ამერიკულ უნივერსიტეტში სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის ფინანსური შეღავათების მინიჭების წესსა და პირობებს, რომელთა სწავლის გადასახადი არ არის სრულად დაფინანსებული სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების პროგრამებისა და ქვე პროგრამების ფარგლებში.</p>
<p>6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა</p>	
<p>6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია</p>	
<p>პროექტის პოტენციალის წინასწარი შეფასების მექანიზმის გაუმჯობესება, რომელიც ორიენტირებულია ახალი ცოდნის, ხედვის, მიდგომებისა და პერსპექტივების შემუშავებაზე;</p>	<p>რეკომენდაცია გათვალისწინებულია. დაწესებულებამ გააუმჯობესა პროექტის წინასწარი შეფასების მექანიზმი, კერძოდ ცვლილებები იქნა შეტანილი „ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და დაფინანსების წესში“ და დეტალურად განისაზღვრა პროექტის წინასწარი შეფასების კრიტერიუმები, ასევე დაამტკიცა შეფასების ფორმა.</p>
<p>კვლევის შედეგების შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვება მარეგულირებელ დოკუმენტებში მითითებული ინდიკატორებისა და მაჩვენებლების შესაბამისად;</p>	<p>რეკომენდაცია გათვალისწინებულია. დაწესებულებამ კვლევის საბოლოო შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით წარმოადგინა სამეცნიერო საბჭოს მიერ ბოლო დროს დასრულებული კვლევის შეფასების სხდომის ოქმი და გადაწყვეტილება. საიდანაც კარგად ჩანს, რომ დაწესებულებამ გააუმჯობესა კვლევის შედეგების საბოლოო შეფასების პროცესი.</p>
<p>აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პოტენციალის შესახებ მონაცემების შეგროვება, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პუბლიკაციების ხარისხს h- ინდექსების, i10 ინდექსების და ა.შ. მითითებით;</p>	<p>რეკომენდაცია გათვალისწინებულია. უნივერსიტეტმა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის პროცედურის მთელი ციკლის შესაფასებლად და უფრო მეტი თვალსაჩინოების უზრუნველსაყოფად წარმოადგინა სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის საბჭოს საოქმო ჩანაწერი სკოლის აკადემიური პერსონალის კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის შეფასებასთან დაკავშირებით და ექსპელის ფაილი, სადაც ცხადად ჩანს რა მონაცემების</p>

	და კრიტერიუმების საფუძველზე იღებს საბჭო გადაწყვეტილებას.
დოქტორანტების ზედამხედველობაში საერთაშორისო უცხოელ მეცნიერთა ჩართულობის დაჩქარება, სადაც აქცენტი კეთდება კვლევის შედეგების ინტერნაციონალიზაციაზე;	რეკომენდაცია გათვალისწინებულია. დაწესებულებამ საანგარიშო პერიოდში იზრუნა სადოქტორო პროგრამების განხორციელებაში ჩართული უცხოელი მეცნიერების რაოდენობრივი მაჩვენებლის ზრდაზე. ჩატარდა გარკვეული აქტივობები ბიზნესის სკოლაში. გაფართოვდა უნივერსიტეტის უცხოური პარტნიორი დაწესებულებების რიცხვიც.
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება	
პერსონალის სამეცნიერო საქმიანობისა და გამოქვეყნებული მასალების ხარისხის შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვება;	რეკომენდაცია გათვალისწინებულია. უნივერსიტეტმა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის პროცედურის მთელი ციკლის შესაფასებლად და უფრო მეტი თვალსაჩინოების უზრუნველსაყოფად წარმოადგინა სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის საბჭოს საოქმო ჩანაწერი სკოლის აკადემიური პერსონალის კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის შეფასებასთან დაკავშირებით და ექსელის ფაილი, სადაც ცხადად ჩანს რა მონაცემების და კრიტერიუმების საფუძველზე იღებს საბჭო გადაწყვეტილებას.
კვლევითი ცენტრებისა და ინსტიტუტის შედეგების გამოქვეყნება;	რეკომენდაცია გათვალისწინებულია. დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია კვლევითი ცენტრებისა და ინსტიტუტების კვლევის შედეგების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. შესაბამისად არის წარმოდგენილი გამოქვეყნებული კვლევის შედეგები და მათთან დაკავშირებული მტკიცებულებები.
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	
7.2. საბიბლიოთეკო რესურსები	
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არსებული რესურსების (წიგნების) განახლება ამ სფეროში მიღწევების კვალდაკვალ, განსაკუთრებით ინგლისურენოვანი პროგრამებისთვის, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;	რეკომენდაცია გათვალისწინებულია. დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულებები, სადაც ჩანს შეძენილი წიგნების დასახელება, რაოდენობა და ღირებულება.
სილაბუსებში ჩამოთვლილი სასწავლო მასალა	რეკომენდაცია გათვალისწინებულია.

<p>განახლებულია და მეტწილად უზრუნველყოფს მიზნობრივი LO-ების მიღწევას; ამისდა მიუხედავად, რეკომენდებულია ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი იყოს მატერიალური/ნაბეჭდი ტომები (ელექტრონული ვერსიების გარდა, ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისი რაოდენობით;</p>	<p>დაწესებულებამ პერიოდულად და საჭიროებისამებრ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განახლების მტკიცებულებად წარმოადგინა ექსლის ფაილი, და წიგნების შექმნის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები.</p>
---	--

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის ფარგლებში რეკომენდაციების ბუნებიდან, შინაარსიდან, უნივერსიტეტის მოდგომებისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებულია სრულად. არცერთი სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით გასაუმჯობესებელი მხარე არ არის. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფი განვითარებაზე ორიენტირებულობის და ამ ხრივ უნივერსიტეტის მისწრაფებებისაგან გამომდინარე თვლის, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია, ომბუდსმენთან დაკავშირებით, რომელიც წინააღმდეგობაში არ მოდის ავტორიზაციის არცერთ სტანდარტთან, გადავიდა რჩევაში და, ინსტიტუციის განვითარების თვალსაზრისით, კარგი იქნება თუ უნივერსიტეტი ამას გაითვალისწინებს.

რეკომენდაციები

რჩევები

თავად ფაქტი ომბუცმენის არსებობისა არის კარგი პრაქტიკა, ამავე დროს მისი არჩევის არსებული მექანიზმი არ ეწინააღმდეგება და არ არღვევს სტანდარტს, მაგრამ მისი როგორც კარგი პრაქტიკიდან გამომდინარე ამ ინსტიტუტის არჩევის წარმომადგენლობითობის გაზდა კიდევ უფრო დადებითად იმოქმედებს ინსტიტუციის დამოუკიდებლობის ხარისხზე.

საუკეთესო პრაქტიკა


დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებს
--	-----------	------------------------------	---------------------------------------	---	-------------------------------

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.1	უსდ-ის მისია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.2	სტრატეგიული განვითარება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. საგანმანათლებლო პროგრამები		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. უსდ-ის პერსონალი		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.1	პერსონალის მართვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.1	კვლევითი საქმიანობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.1	მატერიალური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.3	საინფორმაციო რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.4	ფინანსური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. სალომე ვორონოვა (თავმჯდომარე)
2. დავით სიხარულიძე (წევრი)



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
<p>უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.</p>
<p>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:</p> <p>მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები³; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩევა თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობისას).</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p> <p>მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.</p>
<p>რჩევები:</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>შეფასება:</p> <p>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 სტრატეგიული განვითარება
<ul style="list-style-type: none"> ○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი). ○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას. ○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.
<p>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:</p> <p>მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო</p>

³ ეს რეკომენდაციები შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ავტორიზაციის, სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის, საგანმანათლებლო პროგრამის დამატების და/ან ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით განხორციელებულ ბოლო შეფასებასთან.

<p>დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩევა თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p> <p>მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.</p>
<p>რჩევები:</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>შეფასება:</p> <p>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

<p>2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა</p> <ul style="list-style-type: none"> ○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
<p>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:</p> <p>მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩევა თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p> <p>მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).</p>

რეკომენდაციები:
რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:
არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:
მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩევა თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:
მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

რეკომენდაციები:
რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:
არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:
მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა
<ul style="list-style-type: none"> ○ უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია. ○ უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები. ○ უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.
<p>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:</p> <p>მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩება თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p> <p>მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.</p>
<p>რჩევები:</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>შეფასება:</p> <p>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
<p>უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.</p>
<p>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:</p> <p>1. ჩვენი რეკომენდაციაა - მედიცინის სკოლას უნდა ჰქონდეს მკაფიო პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს განათლებას და კვლევას შორის ურთიერთკავშირს. აუცილებელია სამეცნიერო / კვლევითი სტრატეგია, რომელიც კონკრეტულად მედიცინის სკოლის განვითარების გეგმებს ეხება. უფრო კონკრეტულად, სტრატეგიაში დასახულ უნდა იქნეს გეგმები (მაგ.:კვლევების მხარდაჭერა/დაფინანსება, განსაკუთრებით, ახალგაზრდა კლინიკოსებისა და მკვლევარების მიერ განხორციელებული კვლევებისა; არჩეული სამედიცინო პროექტისთვის ფონდის დაგეგმვა;</p>

კლინიკური კვლევის წახალისება; გრანტები, სახსრები (ეროვნული, საერთაშორისო) სამეცნიერო/კლინიკური ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის; საკუთარი სახსრების გამოყოფა საუკეთესო ხარისხის კრიტერიუმების გათვალისწინებით; გეგმები/აქცენტები კლინიკური და დისციპლინათაშორისო სამეცნიერო კვლევების გაძლიერებაზე, რომელთა სპეციფიკაც (მაგალითად, "საბაზისო მეცნიერება" ან "კლინიკური კვლევები"), სამომავლოდ იქნება გათვალისწინებული; რა პრიორიტეტულ მიმართულებებში და სფეროებში (მაგალითად, "ეპიდემიოლოგია" ან "სოციალური მეცნიერებები" და ა.შ.) წარმოიდგენენ მათ განვითარებას;

რეკომენდაცია გათვალისწინებულია, კერძოდ, უნივერსიტეტის კვლევითი სტრატეგიის პარალელურად, მედიცინის სკოლაში შემუშავდა 2021-2027 წლების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია, რომელშიც გათვალისწინებული იქნა უნივერსიტეტის მედიცინის სკოლაში სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განვითარების გეგმა და კონკრეტული მიმართულებები დაწესებულების/სკოლის მატერიალური, ფინანსური რესურსის და კადრის პოტენციალის გათვალისწინებით.

განსაკურებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ რეკომენდაციების მიღმა, საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტში გაიზარდა სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის დაფინანსების დინამიკა.

2. ჩვენი რეკომენდაციაა - უნდა დაინერგოს კონკურენტული კვლევითი საქმიანობისა და კვლევის მიღწევების აღიარების სქემები. ამ კუთხით, საჭიროა ხარისხობრივი აღწერილობის გამოყენება რაოდენობრივ პარამეტრებთან, მეცნიერომეტრიის ინდიკატორებთან ერთად (მაგ. პირველი ან ბოლო ავტორი Q1 ან Q2 პერიოდულ გამოცემებში, სამეცნიერო ნაშრომების თანაავტორობა სტუდენტებთან, ზედამხედველობის ქვეშ მყოფი დოქტორანტების რაოდენობა და ა.შ.);

რეკომენდაცია გათვალისწინებულია. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საკმაოდ დეტალური დოკუმენტი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის სამუშაო აღწერილობასა და მათი შეფასების წესთან დაკავშირებით. საანგარიშო პერიოდში დაწესებულებამ კიდევ უფრო გააუმჯობესა ამ დოკუმენტში მოცემული აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების კრიტერიუმები, ხარისხობრივი/ რაოდენობრივი პარამეტრები და მეცნიერომეტრიის ინდიკატორები. დაწესებულებამ სანიმუშოდ წარმოადგინა სკოლის საბჭოს მიერ განხორციელებული შეფასების დოკუმენტი. ამ საკითხზე დეტალურად იქნება საუბარი 6.2 სტანდარტში მოცემული რეკომენდაციების განხილვის დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მედიცინის სკოლის 2021-2027 წლების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია; **დანართი 1.**
- სტუდენტური კონფერენციის ჟურნალი (თავფურცლისა და სარჩვეის ასლები); **დანართი 2.**
- უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო საბჭოს 2022 წლის 14 თებერვლის ერთობლივი სხდომის ოქმი; **დანართი 3**

„შპს ქართულ ამერიკული უნივერსიტეტი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის სამუშაო აღწერილობა და მათი შეფასების წესი“; **დანართი 4.**

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:
არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:
მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- o პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- o ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

1. ჩვენ რეკომენდაციაა - კლინიკურ საგნებში შემუშავდეს მენტორობის გაცილებით ეფექტური მექანიზმი, როგორცაა რეგულარული შეხვედრები, დისკუსიები სტუდენტებსა და კლინიკურ მენტორებს შორის კლინიკური სწავლების მეთოდის ეფექტურობის გასაანალიზებლად.

რეკომენდაცია გათვალისწინებულია. კერძოდ დაწესებულებამ მედიცინის სკოლისათვის შეიმუშავა „კლინიკური სწავლის მართვის პოლიტიკა“, რომელიც დამტკიცდა მედიცინის სკოლის საბჭოს 2022 წლის 21 თებერვლის #2 გადაწყვეტილებით. აღნიშნული პოლიტიკის მესამე მუხლი განსაზღვრავს მენტორის ფუნქციებს. კერძოდ, ამავე მუხლის 3.1 პუნქტის თანახმად სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ფარგლებში ფუნქციონირებს კლინიკური საგნების მენტორის ინსტიტუტი. 3.2 პუნქტი განსაზღვრავს მენტორის შერჩევის კრიტერიუმებს, ხოლო 3.3 პუნქტი - მენტორის მოვალეობებს.

პოლიტიკის მეოთხე მუხლი არეგულირებს კლინიკური საგნების სწავლა/სწავლების და შეფასების სისტემას. ამ მუხლის ფარგლებში განსაზღვრულია პასუხიმგებელი პირები, სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა, (რომელთაც ერთ მომენტში შეუძლიათ გაიარონ შესაბამისი კლინიკური საგნები) და კლინიკური საგნების შეფასების მეთოდოლოგია (Objectively Structured Clinical Examination (OSCE)).

2. ჩვენ რეკომენდაციაა - უფრო მკაფიოდ უნდა განისაზღვროს კლინიკური მენტორის/ზედამხედველის კანდიდატურის დასახელებისა და კვალიფიკაციის წესები (კატეგორიების მინიმალური აკადემიური კვალიფიკაცია), ხოლო კლინიკური პერსონალის წევრებისათვის საჭიროა პერსონალური განვითარების გეგმები შეთანხმებული საერთო საფუძვლის მისაღწევად;

რეკომენდაცია გათვალისწინებულია. ვინაიდან დაწესებულებამ „აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის სამუშაო აღწერილობა და მათი შეფასების წესში“ შეიტანა ცვლილებები, კერძოდ წესს დაემატა მუხლი (მუხლი X - დამატებითი მოთხოვნები მედიცინის სფეროში). აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს მედიცინის სფეროს სპეციფიკას. ამ მუხლის 46.1 პუნქტის თანახმად, აკადემიური და მოწვეული პერსონალი რეგულარულად (2 წელიწადში ერთხელ) უნდა გადიოდნენ ტრენინგს სამედიცინო განათლების

მეთოდოლოგიაში, რაც დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი სერტიფიკატით. 46.2 პუნქტის მიხედვით კლინიკურ დისციპლინებში პროფესორები, ასოცირებული პროფესორები, ასისტენტ პროფესორები, ასისტენტები, მოწვეული სპეციალისტები უნდა იყვნენ სფეროში გამოცდილი, კვალიფიციური სპეციალისტები. კერძოდ პროფესორს უნდა ჰქონდეს სულ მცირე 6 წლის პედაგოგიური და 9 წლის კლინიკური გამოცდილება. ასოცირებულ პროფესორს - 3 წლის პედაგოგიური და 5 წლის კლინიკური გამოცდილება, ასისტენტ პროფესორს - სულ მცირე 5 წლის კლინიკური გამოცდილება. ასისტენტს - დოქტორანტი კლინიკურ სპეციალობაში. რაც შეეხება კლინიკური პერსონალის განვითარების გეგმებს არ იძებნება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლინიკური სწავლების მართვის პოლიტიკა. **დანართი 5.**
- „აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის სამუშაო აღწერილობა და მათი შეფასების წესი“, პუნქტი 46. **დანართი 6.**

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საკმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ჩვენ რეკომენდაციაა - პრეკლინიკური სიმულაციური სწავლება კარგი პრაქტიკის სტანდარტებით მიმდინარეობს, მაგრამ უნდა გაიზარდოს კლინიკური სწავლების ფარდობითი წონა და კლინიკურ საგნებში უზრუნველყოფილ იქნეს პირდაპირი წვდომა რეალურ კლინიკურ შემთხვევებზე, ასევე, საჭიროა განისაზღვროს პაციენტის საწოლთან პრაქტიკული სწავლებისთვის გამოყოფილი დრო. პროცედურული უნარები (ინექციები, ნაკერების დადება, გადახვევა, BLS) უნდა შეფასდეს სტანდარტული სიხშირით: კომპეტენცია და გადამზადების საჭიროება უნდა გადაფასდეს შესაბამისი დროის ინტერვალებით;

რეკომენდაცია გათვალისწინებულია. საანგარიშო პერიოდში დაწესებულებამ კლინიკური სწავლების შესაბამისი ფარდობითი წონის და რეალურ კლინიკურ შემთხვევებზე სტუდენტთა პირდაპირი წვდომის უზრუნველყოფის დადასტურების მიზნით, შეიმუშავა „კლინიკური

სწავლების მართვის პოლიტიკა“, სადაც მკაფიოდ და დეტალურად იქნა გაწერილი კლინიკური სასწავლო კურსების სწავლა/სწავლებისა და შეფასების სისტემა, ასევე დაკონკრეტდა შესაბამის აქტივობაზე სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობის ზღვარი, კერძოდ:

ლექცია - მაქსიმუმ 20 სტუდენტი;

პრაქტიკული მუშაობა - მაქსიმუმ 10 სტუდენტი;

პაციენტის საწოლთან სწავლება - მაქსიმუმ 5-6 სტუდენტი;

კლინიკური შემთხვევის განხილვაზე დაფუძნებული სწავლება - მაქსიმუმ 6-7 სტუდენტი;

მისასაღმებელია უნივერსიტეტის მხრიდან სამედიცინო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაზრდაც, რაც რეალურად უზრუნველყოფს სტუდენტის მხრიდან რეალურ კლინიკურ შემთხვევებზე წვდომას და პაციენტის საწოლთან მეტი დროის გატარებას.

დაწესებულებაში კლინიკური საგნების შეფასება მიმდინარეობს ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის მეთოდოლოგიის მეშვეობით (Objectively Structured Clinical Examination (OSCE)). OSCE-ს გამოცდების ჩატარება მიმდინარეობს ქაუ-ს მედიცინის სკოლის კლინიკური უნარების ცენტრში, და გამოცდის დაგეგმვასა და ჩატარებაში ჩართულები არიან შესაბამის კლინიკური საგნების განმახორციელებელი პერსონალი. დაწესებულებამ წარმოადგინა 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში მიმდინარე შეფასების (მინი OSCE) სქემა.

2. ჩვენ რეკომენდაციაა - სამედიცინო ეთიკა, პაციენტის კონფიდენციალურობისა და ავტონომიის ჩათვლით, სასწავლო პროგრამის თეორიულ ნაწილში შედის, მაგრამ იგი ყოველთვის უნდა განმტკიცდეს პრაქტიკაში როლური მოდელირებით კლინიკური სწავლების დროს. აღნიშნული შეუძლებელი იქნება ქართული ენის ჯეროვნად გამოყენების გარეშე, ამიტომაც მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ქართულ ენაზე კომუნიკაციის უნარს კლინიკურ საგნებში - საჭიროა კომუნიკაცია პაციენტთა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფთან და მათ ნათესავებთან, აგრეთვე კულტურული, ეთნიკური თუ რელიგიური საკითხების გათვალისწინება. პაციენტის მოვლაში მონაწილეობა უნდა მოიცავდეს ურთიერთობის (ოჯახის ექიმებთან) და სხვა სამედიცინო პროფესიების წარმომადგენლებთან გუნდური მუშაობის შესაბამის გამოცდილებას;

რეკომენდაცია გათვალისწინებულია. დაწესებულების დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაში ექვსი სემესტრის განმავლობაში - 12 კრედიტად არის გათვალისწინებული ქართული ენის სწავლება, იგივე რაოდენობის კრედიტს ითვალისწინებს უცხოენოვან პროგრამებზე ქართული ენის სწავლებისთვის მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის ბოლო პროექტი.

3. ჩვენ რეკომენდაციაა - ამგვარად, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ადეკვატურად უნდა განსაზღვროს სწავლის საბოლოო კონკრეტული შედეგები კომუნიკაციური ცოდნის, უნარებისა და შესაბამისი დამოკიდებულებისა თუ ქცევის კუთხით. ამ ჩარჩოს დამტკიცებით სტუდენტს ექნება ინფორმაცია, თუ რას ელიან მისგან - აუცილებელია კომუნიკაციის უნარების იმ კომპლექტის განსაზღვრა, რომელიც სტუდენტებმა უნდა აითვისონ წინასწარ განსაზღვრულ ვადებში და სასწავლო პროგრამის ბოლოს;

